პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

23 მარტი, ხუთშაბათი, 1989 წ. № 57 (9976) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ძვირფასო მეგობრებო!

## მიიღეთ მონაწილეობა ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო პროგრამის შემუშავებაში

**საქართველოს** კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1989 წლის 9 მარტის გადაწყვეტილების შესაბამისად ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შემუშავების მიზნით შეიქმნა ამ პროგრამის საბოლოო დოკუმენტის შემმუშავებელი 11 ჯგუფი, რომელშიაც შევიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოციალურ-კულტურული სფეროს განვითარებისა და მშრომელთა დასვენების სექტორის, საქართველოს სპორტსახკომის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ჯანმრთელობისა და ფიზიკური კულტურის განყოფილების, საქართველოს პროფსაბჭოს, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის, სახალხო განათლების სამინისტროს, სახელმწიფო ფიზიკური კულტურის სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტების, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების, სპორტსაზოგადოება „დინამოს", სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, არქიტექტორთა სახელმწიფო კომიტეტის, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, საქართველოს დოსააფის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატის, ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, კულტურის სამინისტროს, ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს, ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების, სახაგრომრეწვის, სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, ფიზიოლოგიის ინსტიტუტის, პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, გაზეთების „კომუნისტის", „სახალხო განათლების", „ლელოს", ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობების სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელები და პასუხისმგებელი მუშაკები.

გაგაცნობთ ჯგუფების შემადგენლობას: 1. ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო პროგრამის საბოლოო დოკუმენტზე მუშაობის; 2. ფიზიკური კულტურისა და სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და არსებული ბაზების გამოყენების გაუმჯობესების; 3. საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების; 4. სამუშაო ადგილის მიხედვით ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების; 5. სპორტის სამხედრო-ტექნიკური სახეობების შემდგომი განვითარების; 6. ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის ბუნებრივი პირობების გამოყენების; 7. გამაჯანსაღებელი და სპორტული მედიცინის შემდგომი განვითარების, 8. ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის კადრების მომზადების; 9. ფიზიკური კულტურისა და სპორტის მეცნიერული განვითარების უზრუნველყოფის; 10. ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების იდეოლოგიური უზრუნველყოფის; 11. დიდი სპორტის შემდგომი განვითარების.

მზადდება აგრეთვე სკოლამდელ დაწესებულებებში, სასკოლო და უმაღლეს სასწავლებლებში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების სპეციალური პროგრამა.

როგორც ხედავთ, ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო პროგრამა მოიცავს საკითხთა უფართოეს წრეს, ფაქტობრივად იგი ასახავს ფიზკულტურისა და სპორტის სოციალურ როლსა და მნიშვნელობას ჩვენს ცხოვრებაში.

ძვირფასო მეგობრებო! თითოეულ თქვენგანს შეუძლია, და ეს მოქალაქეობრივ მოვალეობად უნდა ჩაითვალოს, მონაწილეობა მიიღოს პროგრამის შემუშავებაში. ამისათვის გთხოვთ თქვენი წინადადებები და მოსაზრებები მოგვაწოდოთ „ლელოს" რედაქციაში. ყველა მასალა საბოლოოდ თავს მოიყრის საქართველოს სპორტსახკომში და თემატურად დანაწილდება სამუშაო ჯგუფების მიხედვით.

ველით თქვენს გამოხმაურებას.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

---

## სსრ კავშირის საფეხბურთო კავშირის თასზე

### „დინამო" (თბილისი) — „პამირი" (დუშანბე)

**თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი. 22 მარტი.**

**„დინამო":** ხაპოვი, ცვეიბა, ჯიშკარიანი, ჭედია, მაჭავარიანი, ნემსაძე, სვანაძე, ფანცულაია (გოგიჩაიშვილი), ცაავა (კაჭარავა), ყაველაშვილი, ქეცბაია (ჯამარაული).

**„პამირი":** გერტნერი, არსლანოვი, ომელჩენკო, სისენკო, აბუსზაევი, ზანგიევი (მამაჯანოვი), ნაზაროვი, აზიმოვი, იარკინი, რახიმოვი, იმადულაევი.

**მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).**

**სსრკ** საფეხბურთო კავშირის თასის წლევანდელ გათამაშებაში, ისევე როგორც უწინ, სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასზე იყო, ბევრი მწვრთნელი თავს არიდებს ძირითადი შემადგენლობით თამაშს, მაგრამ არის შემთხვევები, როცა გუნდები საერთოდ არ ცხადდებიან თამაშებზე, რაც საკავშირო მნიშვნელობის ოფიციალური ღონისძიებისთვის ერთობ გაუგებარი ამბავია. ამ თასის გათამაშების საჭიროება გუნდების მწვრთნელებს დღესაც სადისკუსიო თემად მიაჩნიათ, ამიტომაც, ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის მწვრთნელთა საბჭომ დაადგინა, რომ წლევანდელი გათამაშება ბოლომდე უნდა იქნას მიყვანილი, სეზონის დამთავრების შემდეგ კი სერიოზულად განიხილავენ საკითხს საჭიროა თუ არა ამ თასის გათამაშება ამ სახით, თუ იგი სერიოზულ კორექტივებს მოითხოვს.

რაც შეეხება იმას, რომ კავშირის თასის ოფიციალურ მატჩებზე არ გამოცხადდნენ ვილნიუსის „ჟალგირისი", თბილისის „დინამო" და ვოლგოგრადის „როტორი", მათ წაგებები ჩაეთვალათ ერთნაირი ანგარიშით — 0:3.

ახლა კი იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობდა გუშინდელი მატჩი. ის ამბავი, რომ თბილისის „დინამოს" მეტოქე იყო უმაღლესი ლიგის დებიუტანტი „პამირი", თავისთავად გარკვეულ ინტერესს იწვევდა. რას წარმოადგენს ეს გუნდი, რა სიძლიერის მოთამაშეები ჰყავს, რა პოტენციური შესაძლებლობანი გააჩნია უმაღლესი ლიგის ჩემპიონატში საბრძოლველად?

ამ კითხვებზე მატჩმა პასუხი ვერ გაგვცა, ვინაიდან სტუმრებმა უმეტესად სათადარიგო ფეხბურთელები გამოიყვანეს მინდორზე და დინამოელებსაც აკლდათ ძირითად მოთამაშეთა უმრავლესობა. ამიტომ ბრძოლაც აშკარად უფერულად წარიმართა, განსაკუთრებით პირველ ტაიმში.

შესვენების შემდეგ თამაში შესამჩნევად გამოცოცხლდა, თბილისელები ბევრს უტევდნენ, მაგრამ ბურთის გატანა ძალზე გაჭირდა. ეს მხოლოდ ყაველაშვილმა შეძლო 83-ე წუთზე, ამ გოლმა ჩვენს გუნდს პირველი გამარჯვება მოუტანა თასის მიმდინარე გათამაშებაში.

---

# წოდების მინიჭება

**საბჭოთა** კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

**კლასიკურ ჭიდაობაში** — კობა გულიაშვილს (თბილისი, შეიარაღებული ძალები).

**ჩოგბურთში** — ვლადიმერ გაბრიჩიძეს (თბილისი, „დინამო"), დავით კაჭარავას (თბილისი, „დინამო".)

---

# თბილისი მეორედ შეასპინძლებს მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებას გაზეთ „პრავდის" პრიზზე

ПРАВДА

**ვის** არ ახსოვს, როგორ დაეცა მსოფლიო რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში თბილისის „დინამოს" სტადიონზე? ეს მართლაც დაუვიწყარი წუთები იყო.

გვიანი საღამოა. მაყურებლით გადაჭედილი სტადიონი. სუნთქვაშეკრული ათიათასობით სპორტის გულშემატკივარი სასწაულს ელოდება. ტაბლოზე სიმაღლეზე ხტომაში მსოფლიოს ახალი რეკორდის ციფრი აკიაფდა. ნახტომისათვის ემზადება ვლადიმერ იაშენკო. რეპორტიორებმა ქვეყნის უძლიერესი მძლეოსანი „ალყაში" მოაქციეს. შეჯიბრების მთავარი მსაჯი იური ცელებრიცკი შემდეგ იხსენებდა საკავშირო სპორტკომიტეტის მაშინდელმა ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა როგორ კატეგორიულად განუცხადა — დაამყარე წესრიგიო! მაგრამ მთავარმა მსაჯმა უკეთ იცოდა იაშენკოს ხასიათი — რეპორტიორების სიახლოვე ამ სპორტსმენს სულაც არ შეუშლიდა ხელს და... რამდენიმე წამის შემდეგ ახალი რეკორდის დამყარების ისტორიული მომენტი ფირზე აღიბეჭდა. ეს თბილისში ვის არ ახსოვს!

ამბავი 1978 წელს მოხდა, გაზეთ „პრავდის" პრიზზე მძლეოსანთა შეჯიბრების დროს. და აი, ეს ასპარეზობა, როგორც ადრე უკვე ვიუწყებოდით, წელს კვლავ გვესტუმრება.

გუშინ თბილისში ჩამოვიდა გაზეთ „პრავდის" სპორტული მიმომხილველი ლევ ლებედევი.

— დიდი დრო აღარ გვაშორებს იმ დღეებს, როცა თბილისის „დინამოს" სტადიონზე კვლავ ვიხილავთ სსრ კავშირისა და სხვა ქვეყნების უძლიერეს მძლეოსნებს,— თქვა „ლელოს" კორესპონდენტთან საუბარში ლევ ლებედევმა, — ამიტომ ჩვენ ჩამოვედით თბილისში, რათა დავაზუსტოთ ორგანიზაციული საკითხები. ცხადია, უმთავრესია მასპინძლების დამოკიდებულება. ისინი კი, როგორც დავრწმუნდით, დიდ დაინტერესებას იჩენენ.

ამ შეჯიბრებას ახალი პერსპექტივა გაუჩნდა — მომავალი წლიდან იგი შევა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის კალენდარში. ასე რომ, თბილისში გამართული ასპარეზობა ერთგვარი გზის დალოცვა იქნება.

● **ამჯერად ვის იხილავენ თბილისელები ხარბიელზე?**

— შემადგენლობა მეტად სოლიდური იქნება. მაგალითად, შარშანდელ შეჯიბრებასთან შედარებით, რომელიც სოჭში ჩატარდა, თბილისში რამდენიმე ოლიმპიურ ჩემპიონსაც ველოდებით. საერთოდ „პრავდის" პრიზზე ასპარეზობას მძლეოსნობის „ვარსკვლავთა პარადს" უწოდებენ. იგი როგორც სპორტსმენებში, ისე



ლევ ლებედევი

გულშემატკივრებში დიდი პოპულარობით სარგებლობს, რადგან ძალზე დინამიურია და სანახაობრივი.

● **როგორი იქნება პროგრამა და რამდენი პრიზი გათამაშდება?**

— პროგრამა მრავალმხრივია, იგი 34 დისციპლინას შეიცავს, ხოლო რაც შეეხება პრიზს, იგი მხოლოდ ხუთია, გამორჩეული შედეგისათვის — იქნება ეს საკავშირო თუ საერთაშორისო მიღწევა.

● **დარწმუნებული ხართ, რომ ყველა პრიზი გათამაშდება? მოთხოვნა ხომ მკაცრია...**

— დიახ, თამამად შემიძლია ვთქვა — ძალიან გაგვიჭირდება საუკეთესოთა შორის საუკეთესოს გამორჩევა.



1978 წელი. 17 ივნისი. თბილისის „დინამოს" სტადიონი. ვლადიმერ იაშენკომ ასე დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში. ფოტო „ლელოს" არქივიდან (ალექსანდრე კოტორაშვილი).

---

საქართველოს ჩემპიონატი კალათბურთში

# პირველი მატჩების შედეგები



შაბათ-კვირას თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და სოხუმში დაიწყო კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატი

**18 მარტი. უნივერსიტეტი (თბილისი) — „შევარდენი" (თბილისი) 112:102 (45:45). მსაჯები გ. ოხიაშვილი (საკავშირო კატეგორიის მსაჯი) და გ. მოლოდინაშვილი.**

**უნივერსიტეტი:** ბერუაშვილი (35), კ. ქართველიშვილი (19), კოკოლიშვილი (16), რევაზიშვილი (14), გ. ქართველიშვილი (14), საკანდელიძე (6), ტურაშვილი (4), ამილახვარი (2), დვალი (2).

**„შევარდენი":** ძიძავა (42), წულაია (14), კორძაია (13), ცაგარეიშვილი (11), შავლოხოვი (10), ნუცუბიძე (4), რაზმაძე (4), ისაკაძე (2), გაჩეჩილაძე (2).

უდისციპლინობისთვის მოედნიდან გააძევეს „შევარდენის" მოთამაშე დ. კორძაია. იგი, დებულების თანახმად, ოთხ თამაშს გამოსტოვებს.

**19 მარტი. „უნივერსიტეტი" (თბილისი) — „შევარდენი" (თბილისი) 93:83 (45:38). მსაჯები — რ. ხომერიკი (საერთაშორისო კატეგორია) და ე. არუთინიანი (საკავშირო კატეგორია).**

**უნივერსიტეტი:** კოკოლიშვილი (21), ბერუაშვილი (18), რევაზიშვილი (17), კ. ქართველიშვილი (14), ტურაშვილი (14), საკანდელიძე (5), ჯაფარიძე (3), გ. ქართველიშვილი (1).

**„შევარდენი":** ძიძავა (24), შავლოხოვი (21), წულაია (11), გაჩეჩილაძე (10), ცაგარეიშვილი (9), ჩიხლაძე (6), რაზმაძე (2).

**18 მარტი. პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — ჭიათურა 126:87 (60:37). მსაჯები — დ. სადგობელაშვილი (რესპუბლიკური კატეგორია) და გ. გრიგორიანი.**

**პოლიტექნიკური ინსტიტუტი:** გიორგობიანი (33), გოგელია (30), გეგეშიძე (27), ცაგარეიშვილი (18), გაბრიჩიძე (9), კოტრიკაძე (5), ხუჭუა (4).

**ჭიათურა:** ბოხოველი (30), ნადირაძე (21), გურული (12), დეკანოიძე (10), ყანჩაველი (5), ბარათაშვილი (4), ფოფხაძე (2), კიკნაძე (2), მერმანიშვილი (1).

**19 მარტი. პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — ჭიათურა 124:96 (78:32). მსაჯები — გ. ოხიაშვილი (საკავშირო კატეგორა) და გ. გრიგორიანი.**

იხ. მე-4 გვ.

---

## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

როგორც ვიუწყებოდით, 24–26 მარტს თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდება მოსწავლეთა საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში.

ტურნირისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია ჩატარდება დღეს, 23 მარტს სპორტის სასახლის პრესცენტრში 18 საათზე.

**საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაცია.**

# მკითხველთა წერილები

## ბავშვები გვთხოვენ

რედაქციაში ხშირად მოდის წერილები, რომელთა ავტორები გვთხოვენ დავეხმაროთ, ჩავერთოთ მათ საქმეებში. ერთი ასეთი წერილი თბილისის ვაზისუბნის დასახლების პირველი მიკრორაიონის მესამე კორპუსში მცხოვრებმა მოზარდებმა გამოგვიგზავნეს. ბავშვებს არ ჰქონიათ ვარჯიშისა და თამაშის პირობები, ერთი უბრალო მოედანი. მოზარდების გულისწყრომა სწორედ რომ სამართლიანია. მართალია, კორპუსთან ორი მოედნისთვის ადგილი მონიშნულია, მაგრამ ეს ადგილები მხოლოდ მოასფალტებულია, აქ არც ფეხბურთის კარები დგას და არც კალათბურთის დგარები, ამიტომ მას კერძო მანქანების სადგომად იყენებენ. იქვეა №3 უნივერსამი, სადაც ყოველდღიურად ასობით მანქანა ჩერდება. თამაშისას ბურთი ამ სამიშ ზონაში ვარდება და ბავშვების სიცოცხლეს ხიფათი ემუქრება. რამდენჯერ ბურთს გადევნებული ბავშვი ბედად გადარჩენილაო, გვითხრეს. გარდა ამისა, ამ მოედნებზე ზოგიერთი თავგასული მოქალაქე ღრეობას მართავს. მოქეიფენი განსაკუთრებით კვირა დღეს, სწორედ ბავშვების დასვენების დღეებში იკრიბებიან.

მოედნები მუდამ ღანაგვიანებულია. იქვე მაღალი ძაბვის ქვესადგურთან ანტისანიტარიის ბუდეა.

ერთი სიტყვით, მოზარდებს თამაშის საშუალება არა აქვთ. რა უნდა გააკეთდეს მდგომარეობის გამოსასწორებლად? პირველ ყოვლისა, მოედნები უნდა შემოიღობოს (მანქანები მოედნებზე ველარ შევლენ და ანტისანიტარიის კერაც მოისპობა), უნდა მოეწყოს ორი მარტივი ტიპის მოედანი. ფრენბურთის და კალათბურთის, სასურველია კალათბურთის ფარებქვეშ დაიდგას ფეხბურთის კარებიც, რათა ბავშვებს თამაშის არჩევის საშუალება ჰქონდეთ.

ბავშვები მზად არიან უფროსებთან ერთად იმუშაონ მოედნების კეთილმოწყობაზე. ერთ-ერთი მოედანი უკვე დაუხაზავთ კიდეც.

სპორტული მოედნები კარგი საჩუქარი იქნება მოზარდებისთვის. იმედია, თბილისის 26 კომისრის რაიალმასკომი ყურად იღებს თხოვნას და მოედნის კეთილმოწყობაში დაეხმარება ვაზისუბნელ ბავშვებს.

**ავთანდილ ქოქაშვილი.**

## სად ვივარჯიშოთ?

ჩემო ლელო! შეიძლება უჩვეულოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ კალამი ფეხბურთის დიდმა სიყვარულმა ამაღებინა.

მართალია, გოგონა ვარ, მაგრამ სპორტის ამ სახეობით დიდად ვარ დაინტერესებული, გადაწყვეტილი მაქვს დავიწყო ვარჯიში. გთხოვთ მირჩიოთ, სად?

ეს კითხვა ალბათ სხვა გოგონებსაც აინტერესებთ.

**სოფიკო გეწაძე,**
თბილისი.

**რედაქციისაგან:** დახმარებისათვის უნდა მიმართოთ რაიონის სპორტკომიტეტს ან თბილისის მე-3 სამედიცინო სასწავლებელს.

## რატომ არ მიდის „ლელო" მკითხველამდე?

გასული წლის ოქტომბერში „ლელოს" ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ შეგვეძლო გაზეთის გამოწერა საქართველოს ფარგლებს გარეთ დროებით თუ მუდმივად მცხოვრები თანამემამულეებისა და ოჯახის წევრებისათვის და თქვენ ვალდებულებას იღებდით, რომ მათ გაზეთს გადაუგზავნიდით რეგულარულად, რომ ამ საქმეში არ იქნებოდა შეზღუდვა — საბჭოთა კავშირის ნებისმიერ ქალაქში თუ სოფელში უნდა მიგეწოდებინათ ყველა ნომერი. ყოველშემთხვევისათვის ასე გვპირდებოდით გაზეთში გამოქვეყნებულ ცნობაში. და რას ვხედავთ? გადის დრო და არც ერთი ნომერი არ ჩანს! არა და, როგორ ელოდებიან მას ჩვენგან ძალიან შორს — ვლადივოსტოკში, სამხედრო სამსახურში მყოფი ახალგაზრდები. ყოველ წერილში დაპირებულ გაზეთს გვთხოვენ ვლადივოსტოკიდან. იქ წერილები 8-9 დღეში მიდის, ხოლო თქვენი გაზეთის ვერც ერთმა ნომერმა ვერ ჩააღწია იქამდე. დავიჯეროთ, თქვენც ტყუილები იკადრეთ? მერედა, რისთვის? თქვენს გაზეთს ხომ მკითხველი არ აკლია?

გაზეთი გამოწერილია 1988 წლის 21 ოქტომბერს, ქუთაისის „სოიუზპეჩატის" მიერ.

**დ. კაპანაძე.**
ქუთაისი.

**რედაქციისაგან: დაგვერწმუნებით ამ სტრიქონებს გულგრილად ვერც თქვენ ჩაიკითხავდით. რედაქციის ყველა მუშაკი შეგვაშფოთა მშობლის ბარათმა, იგი მართალია, მაგრამ რა შუაშია რედაქცია? ამთავითვე შევნიშნავთ, რომ წერილის ავტორს ერთ რამეში ვერ დავეთანხმებით — სწორია, „ლელოში" ცნობა გაზეთის გამოწერის თაობაზე გამოქვეყნდა, მაგრამ ჩვენ იქ არ ვწერდით რაიმე ვალდებულების შესახებ. დაპირება არც შეიძლებოდა, რადგან გაზეთის მკითხველამდე მიტანაზე არც ერთი რედაქცია პასუხს არ აგებს. ეს „სოიუზპეჩატის" საქმეა და პრეტენზიაც მას უნდა წაუყენოს მკითხველმა.. სამწუხაროდ, ასეთი პრეტენზიები ხშირია... მხოლოდ რედაქციის მიმართ.**

**უფლებას ვიტოვებთ შევეკითხოთ ქუთაისის „სოიუზპეჩატისა" და პრესის გზავნილების რესპუბლიკური ექსპედიციის ხელმძღვანელებს: რაშია საქმე, რატომ მოდის ამდენი პრეტენზია რედაქციაში:**

**ველით პასუხს.**

## მწვრთნელებზეც დაწერეთ

მე სპორტის ერთი ჩვეულებრივი ახალგაზრდა გულშემატკივარი ვარ. ძალიან მაინტერესებს ყველაფერი სპორტის, სპორტსმენებისა და, რაღა თქმა უნდა, მათი მწვრთნელების შესახებ. სპორტსმენებზე თითქმის ყველაფერი იწერება, მათი მწვრთნელების შესახებ კი თითქმის არაფერი. არადა, საინტერესოა თუ როგორ მოვიდნენ ეს მწვრთნელები დიდ სპორტში. გთხოვთ მათზეც დაწერონ ჟურნალისტებმა.

**ბორის ბაკურაძე,**
თბილისი.

## შევქმნათ ა. ჩივაძის კლუბი

როგორც ვიცით, ალექსანდრე ჩივაძემ საბჭოთა კავშირის პირველობაზე, თასის გათამაშებაში თუ ნაკრებში გამოსვლისას, აგრეთვე სხვა ოფიციალურ შეხვედრებში, 50-ზე მეტი ბურთი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში. ასეთი აგრესიული მცველი მართლაც იშვიათია.

ხომ არ შეიძლება შეიქმნას საბჭოთა კავშირის ნაკრებისა და თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის კაპიტნის ალექსანდრე ჩივაძის კლუბი, რომელშიც შევლენ ის მცველები (შეიძლება ნახევარმცველებიც), ვისაც 50 და მეტი ბურთი ექნებათ გატანილი მოწინააღმდეგის კარში? ანდა, იქნებ დაწესდეს ალექსანდრე ჩივაძის სახელობის პრიზი, რომელიც საფეხბურთო სეზონის დამთავრების შემდეგ გადაეცემა საუკეთესო მცველს, რომელსაც უმაღლესი ლიგის შეხვედრებში ყველაზე მეტი გოლი ექნება გატანილი?

**რევაზ ხოფერია,**
**ჩოხულეთის რაიონის ჩაქვის 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელი.**

## ვიწონებთ!

მხარს ვუჭერთ პავლე ტალახაძის (გალის რაიონი) მიერ წამოყენებულ წინადადებას ყოველი მატჩის შემდეგ ფეხბურთელთა თამაშის 5-ბალიანი სისტემით შეფასების შესახებ. მაგრამ, ჩვენი სურვილია, პრიზი გადაეცეს სეზონის ბოლოს არა მხოლოდ პირველ ადგილზე გასულ ფეხბურთელს, არამედ I-II-III ადგილებზე გასულ მოთამაშეებს. დაწესებული პრიზის ფონდი კი პროცენტულად შესაბამისად ასე განაწილდეს — 50-30-20.

თუ რამდენიმე მოთამაშე ქულათა თანაბარ რაოდენობას დააგროვებს, პრიზი განაწილდება თანაბრად.

ფეხბურთელს მონაწილეობა უნდა ჰქონდეს მიღებული სეზონში მატჩების არა ნაკლებ 60 პროცენტისა.

თუ ასეთი პრიზი დაწესდება, მზად ვართ პრიზის ფონდში დამატებით გადავრიცხოთ 15-15 მანეთი.

**გიგლა გიორხელიძე,**
**თანდილა უჯარაშვილი,**
**ლუდა გურსულაია.**
გალი.

## პატივცემულო რედაქციავ!

გწუხებთ ფონიჭალის დასახლებიდან.

პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს სპორტსა და სპორტული ბაზების საკითხს. ამ მხრივ ჩვენი დასახლება მოკლებულია ყოველგვარ სიკეთეს.. ახალგაზრდა თაობას არ აქვს სპორტული სექციებში მეცადინეობის პირობები. ჩვენს დასახლებაში მცხოვრებთა თითქმის ნახევარი უსინათლო და მცირემხედველია. მშობლებს არა აქვთ საშუალება თავიანთი შვილები ატარონ თბილისში, მარტო ბავშვის გაშვება კი არ შეიძლება ქალაქში ასე შორს. ამიტომ აუცილებელია სპორტული კომპლექსის გაშენება „ფონიჭალის" დასახლების ტერიტორიაზე. ეს კომპლექსი დაგეგმილიც იყო, მაგრამ რაღაც გაურკვეველი მიზეზის გამო, მშენებლობა შეჩერდა.

ჩემი თხოვნაა დაგვეხმაროთ, უყურადღებოდ არ დატოვოთ ეს წერილი. ჩვენ გვჯერა თქვენი სიტყვისა და ძალის. წინასწარ გიხდით მადლობას.

**ა. მელაშვილი, ა. მოწონელიძე, ი. თედიაშვილი, მ. მორჩილაძე, ნ. სონღულაშვილი, ზ. ბეროშვილი, ზ. კუტუბიძე, ვ. ღარიბაშვილი, უ. სამხარაძე, ვ. ჯიჭავე, ს. ტაბატაძე, დ. სითათაშვილი.**
**ფონიჭალის დასახლება. რუსთავის გზატკეცილი №16 ა და ბ კორპუსში მცხოვრებნი.**

## ხუროთმოძღვარს ნუ დავივიწყებთ

ჩვენთვის, სპორტის ქართველი გულშემატკივრებისთვის, საერთოდ, ყველა ქართველისათვის ძალზე ძვირფასი და საყვარელი ადგილია თბილისის „დინამოს" სტადიონი, მთლიანად სპორტკომბინატი „დინამო". ეს ადგილი ხომ ქართული ფეხბურთის მექაა და, გარდა ამისა, სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლებსაც ემსახურება. განა ბევრია ჩვენს ქვეყანაში ასეთი დიდი და ლამაზი სტადიონი? ამიტომაა, რომ გვეამაყება და გვახარებს მისი შეხედვა, აქ მოსვლა,

ხომ უნდა იცოდნენ ქართველ გულშემატკივართა მომავალმა თაობებმა ვინ ააგო ეს სტადიონი, ვინ არის მისი ხუროთმოძღვარი? ჩემი აზრით, აუცილებლად უნდა მიეგოს პატივი არქიტექტორ არჩილ ქურდიანის ხსოვნას და „დინამოს" სტადიონზე, დასავლეთი ტრიბუნის მხარეს, იქ, სადაც ჩვენი ფეხბურთელების სურათებია, გაკეთდეს მისი მემორიალური დაფა.

**სპარტაკ ხორნაული.**

## იცოდნენ ვისი გორისანი არიან

ყველა ჩვენგანისთვის ნაცნობია ის სულიერი მღელვარება, რომელსაც განვიცდით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში ერის სასიქადულო მამულიშვილების საფლავებთან გავლისას.

ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ, ჩემი აზრით, არაფერი ისე არ აამაღლებდა ჩვენი ფეხბურთელების სულისკვეთებას, განაწყობდა მათ რაინდული სპორტული შერკინებისათვის, როგორც თბილისის „დინამოს" სტადიონზე იმ ფეხბურთელთა ძეგლების თუ ბიუსტების დადგმა, რომელთაც სასახელო ფურცლებით შეავსეს ქართული და საბჭოთა ფეხბურთის მატიანე.

იქნებ სწორედ ახლა იყოს დროული და აუცილებელი ამ ჩანაფიქრის განხორციელება — „დინამოს" ახლანდელმა თაობამ კარგად უნდა იცოდეს ვის საქმეს აგრძელებს და ვისი გორისაა, უფრო მეტი გარჯა რომ მართებს საწვრთნელ მინდორზეც და სტადიონზეც, ვალში რომაა მაყურებელთან.

ვფიქრობ, ძნელი არაა, „დინამოს" სტადიონზე გამოინახოს ადგილი, სადაც დაიდგმება ძეგლები ისეთი გამოჩენილი ფეხბურთელებისა, როგორებიც იყვნენ, ავთანდილ ღოღობერიძე, შოთა იამანიძე, ვიტალი დარასელია და სხვანი.

**ბორის ჯვარშეიშვილი.**

## თუ შეიძლება თქვენი გაზეთის გამოწერა?

თქვენს გაზეთში გასულ წელს გამოქვეყნდა ცნობა, რომ შესაძლებელი იყო სამხედრო სავალდებულო სამსახურში მყოფი შვილებისათვის გამოგვეწერა „ლელო".

რატომღაც არ მოხერხდა მაშინ ჩვენს რაიონში ამ გაზეთის გამოწერა.

გთხოვთ გამაგებინოთ შეიძლება თუ არა „ლელოს" გამოწერა ამ წლისათვის და თუ შეიძლება რა პირობებით.

ჩემი შვილი სამხედრო სავალდებულო სამსახურს კურილიის კუნძულებზე იხდის. წარმომიდგენია, როგორ გაიხარებდა შორეულ აღმოსავლეთში ქართული სპორტული გაზეთის მიღებით.

კიდევ ერთხელ გთხოვთ თუ ეს შესაძლებელია, გვაცნობოთ როგორ შეიძლება „ლელოს" გამოწერა. წინასწარ გიძღვნით მადლობას.

**ანჟელი სოხაძე.**
სოფ. აგარა.
ამბროლაურის რაიონი

**რედაქციისაგან: ეს საკითხი სხვებსაც აინტერესებთ. „ლელოს" გამოწერა შეიძლება ყველგან. ვინც გაზეთს 12 აპრილამდე გამოიწერს, მიიღებს პირველი მაისიდან. ამასთან გაცნობებთ, რომ არის ცალკეული რეგიონები, სადაც გაზეთის გამოწერა შეზღუდულია, ამის შესახებ ინფორმაციას მიიღებთ „სოიუზპეჩატის" განყოფილებაში ხელმოწერის გაფორმებისას. გაზეთის გამოწერაზე უარის შემთხვევაში თქვენ შეგიძლიათ ასეთ რეგიონებში ჯარისკაცებს „ლელო" გაუგზავნოთ ფოსტით, პირადად.**

## მიგვიღეთ კლუბის წევრებად

ჩვენს ფეხბურთის მოყვარულებს თბილისის „დინამოს" საფეხბურთო კლუბის წევრობის დიდი სურვილი აქვთ, მაგრამ ხშირ შემთხვევაში საშუალება არ გვეძლევა პრაქტიკულად განვახორციელოთ ჩვენი სურვილები. მხედველობაში ისა მაქვს, რომ მოუცლელობის, სიზარმაცის, „დღესხვალიობისა" თუ სხვა მსგავსი მიზეზების გამო ვერ ვახერხებთ საგანგებოდ მივიდეთ თბილისის „დინამოს" სტადიონზე და გავაფორმოთ ჩვენი წევრობა. გარდა ამისა, ბევრიც რაიონებში ცხოვრობს.

ამიტომაც ჩემი წინადადებაა: თბილისის „დინამოს" გულშემატკივართა კლუბის გამგებლებმა მიაკითხონ დიდ საწარმო-დაწესებულებებს, უმაღლეს სასწავლებლებს, ფაბრიკა-ქარხნებს და ადგილზევე მოახდინონ მსურველთა გაწევრიანება. გარდა ამისა, დიდი ფეხბურთის დღეებში თბილისის „დინამოს" სტადიონზე შეიძლება დაიდგას მაგიდები და აქვე, ადგილზე, „ცხელ კვალზე" მივიღოთ კლუბის ახალი წევრები. არც ის იდეა მიმაჩნია რეალობას მოკლებულად, რომ თბილისის დიდ პროსპექტებზე გამოვყოთ ადგილები, სადაც მოხდება გულშემატკივართა კლუბის წევრებად მიღება.

აი, მაშინ ჩვენს გუნდს ექნება რეალური ფინანსური შემწეობა.

**ზურამ ლობჟანიძე,**
**თბილისის „დინამოს" გულშემატკივარი.**

## პასუხი „ლელოს"

## „სპორტი სამეურნეო ანგარიშზე?" „ბრალდებები უსაფუძვლოდ მიგვაჩნია"

გასული წლის 14 დეკემბრის „ლელოში" გამოქვეყნდა საქსპორტსახკომის მოსახლეობის ფასიანი მომსახურების განყოფილების გამგის გ. ყირმელაშვილის წერილი „სპორტი სამეურნეო ანგარიშზე?" სამეურნეო-ეკონომიკურ საკითხებთან ერთად წერილში საუბარი იყო სახკოლო საცურაო აუზებთან შექმნილი კოოპერატივების პრობლემებზე.

დადებითი ფაქტების გვერდით ხსენებული იყო რამდენიმე სკოლა (მათ შორის 172-ე), რომ იქ საცურაო აუზის წყლის ფერი კარგ შთაბეჭდილებას არ ტოვებდა, კოოპერატივის ფასიანი ჯგუფები მთელი დატვირთვით მუშაობდნენ, სკოლის პროგრამით გათვალისწინებული გაკვეთილები კი არ ტარდებოდა.

წელს, 4 იანვარს „ლელოში" გამოქვეყნდა 172-ე სკოლის სპორტული კოოპერატივის თავმჯდომარის მ. შევარდნაძის წერილი „ბრალდებები უსაფუძვლოდ მიგვაჩნია".

აღნიშნული წერილის განხილვის მიზნით, საქსპორტსახკომში მოწვეული იყვნენ 172-ე სკოლის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კოოპერატივის წევრები და მოსახლეობის ფასიანი მომსახურების განყოფილების მუშაკები.

წერილობითი და ზეპირი განმარტებების დეტალური განხილვის შედეგად, გამოირკვა, რომ 172-ე სკოლის საცურაო აუზში წყლის გაუმჭვირვალე ფერი დადასტურდა ორჯერ, გასული წლის 29 სექტემბერს და 10 ოქტომბერს, პირველად ორი, ხოლო მეორედ ოთხი მოწვეული ამხანაგის, მათ შორის 3 სხვა სახკოლო კოოპერატივის წარმომადგენლის საერთო დასკვნით და არა მარტო გ. ყირმელაშვილის მიერ, როგორც ამას მ. შევარდნაძე აღნიშნავს.

შემოწმების პერიოდში სკოლაში მხოლოდ კოოპერატივის ფასიანი ჯგუფები მუშაობდა.

სახკოლო საცურაო აუზებში გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ (შემოწმებული იქნა 9 სახკოლო კოოპერატივი) სპორტსახკომმა ოფიციალური წერილი გაუგზავნა თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს.

მ. შევარდნაძის წერილში ეჭვი იყო გამოთქმული 172-ე სკოლის სპორტული კოოპერატივის შემოწმების უფლებამოსილების შესახებ.

საქართველოს სპორტსახკომის 1988 წლის 20 იანვრის №1-8, სსრკ სპორტსახკომის 1988 წ. 26 ოქტომბრის 7/3 და სადირექტივო ორგანოების სხვა დადგენილებების შესაბამისად, სპორტსახკომებს პირდაპირ ევალებათ სპორტულ-გამაჯანსაღებელი კოოპერატივების საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი (კოოპერატივის საფინანსო-სამეურნეო საკითხებს ჩვენ არ ვეხებით).

იგივე საკითხებზე იყო გამახვილებული ყურადღება „ლელოს" ა.წ. 15 იანვრის მოწინავეში „რას ვითხოვთ კოოპერატივისაგან?"

გ. ყირმელაშვილს, როგორც საქართველოს სპორტსახკომის მოსახლეობის ფასიანი მომსახურების განყოფილების გამგეს, პერსონალურად აქვს დავალებული, რესპუბლიკაში სპორტულ-გამაჯანსაღებელი კოოპერატივების საქმიანობის კოორდინაცია, კონტროლი და საკითხის კოლეგიის სხდომაზე გამოტანა.

**თენგიზ რუხაძე,**
**საქართველოს სპორტსახკომის სპორტნაგებობათა სამმართველოს უფროსი.**

**რედაქციისაგან:** კოოპერატივები დიდ და სასარგებლო საქმეს აკეთებენ. რა თქმა უნდა, მუშაობაში შეცდომები კოოპერატორებსაც აქვთ, რაზედაც „ლელოს" არაერთხელ გაუმახვილებია ყურადღება, მაგრამ შეცდომების მითითებისას, ეს ეხება თუნდაც ნებისმიერ შემმოწმებელს, ტაქტი და თავშეკავებაა საჭირო. რედაქციას სრულიად უსაფუძვლოდ მიაჩნია, მაგალითად, შემმოწმებლების გამოდავება წყლის გაუმჭვირვალე ფერის გამო. სანიტარული სამსახურების გარდა, არავის არა აქვს უფლება იდავოს ამ საკითხზე და დაადგინოს წყლის ვარგისიანობა, რადგან გაუმჭვირვალე წყალი შეიძლება სრულებითაც არ იყოს მავნე ჯანმრთელობისთვის. მეტი მოეთხოვებათ თვით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელებს, რათა კოოპერატორები განუხრელად ასრულებდნენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

I წრე

**8 აპრილს** სტარტს აიღებს მეორე ლიგის საკავშირო გათამაშება ფეხბურთში. ჩვენი რესპუბლიკის ცხრავე გუნდი IX ზონაში იასპარეზებს. გაგაცნობთ ამ გუნდებს და პირველი წრის გათამაშების კალენდარს: „ნარტი" (ჩერკესკი), „ლოკომოტივი" (მინერალური წყლები), „ხაზარი" (სუმგაითი), „ხაზარი" (ლენქორანი), „დინამო" (სოხუმი), „კოლხეთი" (ხობი), „დილა" (გორი), „ლოკომოტივი" (სამტრედია), „შევარდენი"-სპი (თბილისი), „გოიაზანი" (ყაზახი), „ბაკინეცი" (ბაქო), „მეტალურგი" (რუსთავი), „ლოკომოტივი"-ომც (თბილისი), „კოლხეთი" (ფოთი), „მერცხალი" (მახარაძე), „ტორპედო" (ვოლჟსკი), „ატომმაში" (ვოლგოდონსკი), „ქიაფაზი" (კიროვაბადი), „ყარაბახი" (აგდამი), „ტექსტილშჩიკი" (კამიშინი), „ზვეზდა" (გოროდიშჩე), „დინამო" (მახაჩყალა).

I ტური

8 აპრილი, შაბათი

„ნარტი" (ჩერკესკი) — „მეტალურგი" (რუსთავი)
„ლოკომოტივი" (მინ. წყლ.) — „ლოკომოტივი"-ომც (თბილისი)
„ხაზარი" (სუმგაითი) — „კოლხეთი" (ფოთი)
„ხაზარი" (ლენქორანი) — „მერცხალი" (მახარაძე)
„დინამო" (სოხუმი) — „ტორპედო" (ვოლჟსკი)
„კოლხეთი" (ხობი) — „ატომმაში" (ვოლგოდონსკი)
„დილა" (გორი) — „ქიაფაზი" (კიროვაბადი)
„ლოკომოტივი" (სამტრედია) — „ყარაბახი" (აგდამი)
„შევარდენი"-სპი (თბილისი) — „ტექსტილშჩიკი" (კამიშინი)
„გოიაზანი" (ყაზახი) — „ზვეზდა" (გოროდიშჩე)
„ბაკინეცი" (ბაქო) — „დინამო" (მახაჩყალა)

II ტური

11 აპრილი, სამშაბათი

„ნარტი" — „ლოკ." -ომც
„ლოკომ." (მინ. წყ.) — „მეტალურგი"
„ხაზარი" (ს.) — „მერცხალი"
„ხაზარი" (ლ.) — „კოლხეთი"
„დინამო" (ს.) — „ატომმაში"
„კოლხეთი" (ხ.) — „ტორპედო"
„დილა" — „ყარაბახი"
„ლოკომ." (ს.) — „ქიაფაზი"
„შევარდენი"-სპი — „ზვეზდა"
„გოიაზანი" — „ტექსტილშჩიკი"

III ტური

17 აპრილი, ორშაბათი

„ლოკომ. (მინ. წყ.) — „ნარტი"
„ტექსტილშჩიკი" — „დინამო" (მ.)
„ზვეზდა" — „ბაკინეცი"
„ქიაფაზი" — „შევარდენი"-სპი
„ყარაბახი" — „გოიაზანი"
„ტორპედო" — „დილა"
„ატომმაში" — „ლოკომოტივი" (ს.)
„კოლხეთი" (ფ.) — „დინამო" (ს.)
„მერცხალი" — „კოლხეთი"
„მეტალურგი" — „ხაზარი" (ს.)
„ლოკ."-ომც — „ხაზარი" (ლ.)

IV ტური

20 აპრილი, ხუთშაბათი

„ტექსტილშჩიკი" — „ბაკინეცი"
„ზვეზდა" — „დინამო" (მ.)
„ქიაფაზი" — „გოიაზანი"
„ყარაბახი" — „შევარდენი"-სპი
„ტორპედო" — „ლოკომოტივი" (ს.)
„ატომმაში" — „დილა"
„კოლხეთი" (ფ.) — „კოლხეთი (ხ.)
„მერცხალი" — „დინამო" (ს.)
„მეტალურგი" — „ხაზარი" (ლ.)
„ლოკ."-ომც — „ხაზარი" (ს.)

V ტური

24 აპრილი, ორშაბათი

„ხაზარი" (ს.) — „ნარტი"
„ხაზარი" (ლ.) — „ლოკომ." (მინ. წყ.)
„დინამო" (ს.) — „მეტალურგი"
„კოლხეთი" (ხ.) — „ლოკ."-ომც
„დილა" — „კოლხეთი" (ფ.)
„ლოკომოტივი" (ს.) — „მერცხალი"
„შევარდენი"-სპი — „ტორპედო"
„გოიაზანი" — „ატომმაში"
„დინამო" (მ.) — „ქიაფაზი"
„ბაკინეცი" — „ყარაბახი"
„ზვეზდა" — „ტექსტილშჩიკი"

VI ტური

27 აპრილი, ხუთშაბათი

„ხაზარი" (ს.) — „ლოკომ." (მინ. წყ.)
„ხაზარი" (ლ) „ნარტი"
„დინამო" (ს.) — „ლოკ"-ომც
„კოლხეთი (ხ.) — „მეტალურგი"
„დილა" — „მერცხალი"
„ლოკომ." (ს.) — „კოლხეთი" (ფ.)
„შევარდენი"-სპი — „ატომმაში"
„გოიაზანი" — „ტორპედო"
„დინამო" (მ.) — „ყარაბახი"
„ბაკინეცი" — „ქიაფაზი"

VII ტური

5 მაისი, პარასკევი

„ნარტი" — „დინამო" (ს.)
„ლოკომ." (მინ. წყ.) — „კოლხეთი" (ხ.)
„ქიაფაზი" — „ტექსტილშჩიკი"
„ყარაბახი" — „ზვეზდა"
„ტორპედო" — „დინამო" (მ.)
„ატომმაში" — „ბაკინეცი"
„კოლხეთი" (ფ.) — „შევარდენი"-სპი
„მერცხალი" — „გოიაზანი"
„მეტალურგი" — „დილა"
„ლოკ."-ომც — „ლოკომოტივი" (ს.)

VIII ტური

8 მაისი, ორშაბათი

„ხაზარი" (ლ.) „ხაზარი" (ს.)
„ნარტი" — „კოლხეთი" (ხ.)
„ლოკომ. (მინ. წყ.)— „დინამო" (ს.)
„ქიაფაზი" — „ზვეზდა"
„ყარაბახი" — „ტექსტილშჩიკი"
„ტორპედო" — „ბაკინეცი"
„ატომმაში" — „დინამო" (მ.)
„კოლხეთი" (ფ.) — „გოიაზანი"
„მერცხალი" — „შევარდენი"-სპი
„მეტალურგი" — „ლოკომ." (ს.)
„ლოკ."-ომც — „დილა"

IX ტური

13 მაისი, შაბათი

„დინამო" (ს.) — „ხაზარი" (ს.)
„კოლხეთი" (ხ.) — „ხაზარი" (ლ.)
„დილა" — „ნარტი"
„ლოკომ. (ს.) — „ლოკომ." (მინ. წყ.)
„შევარდენი"-სპი — „მეტალურგი"
„გოიაზანი" — „ლოკომ."-ომც
„დინამო" (მ.) — „კოლხეთი" (ფ.)
„ბაკინეცი" — „მერცხალი"
„ტექსტილშჩიკი" — „ტორპედო"
„ზვეზდა" — „ატომმაში"

X ტური

16 მაისი, სამშაბათი

„დინამო" (ს.) — „ხაზარი" (ლ.)
„კოლხეთი" (ხ.) — „ხაზარი" (ს.)
„დილა" — „ლოკომ." (მინ. წყ.)
„ლოკომოტივი" (ს.) — „ნარტი"
„შევარდენი"-სპი — „ლოკ."-ომც
„გოიაზანი" — „მეტალურგი"
„დინამო" (მ.) — „მერცხალი"
„ბაკინეცი" — „კოლხეთი" (ფ.)
„ტექსტილშჩიკი" — „ატომმაში"
„ზვეზდა" — „ტორპედო"
„ყარაბახი" — „ქიაფაზი"

XI ტური

23 მაისი, სამშაბათი

„დინამო" (ს.) — „კოლხეთი" (ხ.)
„ნარტი" — „შევარდენი"-სპი
„ლოკომოტივი" (მინ. წყ.) — „გოიაზანი"

## გათამაშების კალენდარი

### II ლიგა, IX ზონა



„ხაზარი" (ს.) — „დილა"
„ხაზარი" (ლ.) — „ლოკომოტივი" (ს.)
„ტორპედო" — „ქიაფაზი"
„ატომმაში" — „ყარაბახი"
„კოლხეთი" (ფ.) — „ტექსტილშჩიკი"
„მერცხალი" — „ზვეზდა"
„მეტალურგი" — „დინამო" (მ.)
„ლოკ."-ომც — „ბაკინეცი"

XII ტური

26 მაისი, პარასკევი

„ნარტი" — „გოიაზანი"
„ლოკომ. (მინ. წყ.) — „შევარდენი"-სპი
„ხაზარი" (ს.) — „ლოკომ." (ს.)
„ხაზარი" (ლ.) — „დილა"
„ტორპედო" — „ყარაბახი"
„ატომმაში" — „ქიაფაზი"
„კოლხეთი" (ფ.) — „ზვეზდა"
„მერცხალი" — „ტექსტილშჩიკი"
„მეტალურგი" — „ბაკინეცი"
„ლოკ."-ომც — „დინამო" (მ.)

XIII ტური

4 ივნისი, კვირა

„დილა" — „დინამო" (ს.)
„ლოკომოტივი" (ს.) — „კოლხეთი" (ხ.)
„შევარდენი"-სპი — „ხაზარი" (ს.)
„გოიაზანი" — „ხაზარი" (ლ.)
„დინამო" (მ.) — „ნარტი"
„ბაკინეცი" — „ლოკომ." (მინ. წყ.)
„ტექსტილშჩიკი" — „მეტალურგი"
„ზვეზდა" — „ლოკ."-ომც
„ქიაფაზი" — „კოლხეთი" (ფ.)
„ყარაბახი" — „მერცხალი"

XIV ტური

7 ივნისი, ოთხშაბათი

„დილა" — „კოლხეთი" (ხ.)
„ლოკომოტივი" (ს.) — „დინამო" (ს.)
„შევარდენი"-სპი— „ხაზარი" (ლ.)
„გოიაზანი" — „ხაზარი" (ს.)
„დინამო" (მ.) — „ლოკომ." (მინ. წყ.)
„ბაკინეცი" — „ნარტი"
„ტექსტილშჩიკი" — „ლოკ"-ომც
„ზვეზდა" — „მეტალურგი"
„ქიაფაზი" — „მერცხალი"
„ყარაბახი" — „კოლხეთი" (ფ.)
„ატომმაში" — „ტორპედო"

XV ტური

14 ივნისი, ოთხშაბათი

„ლოკომოტივი" (ს.) — „დილა"
„ნარტი" — „ტექსტილშჩიკი"
„ლოკომ." (მინ. წყ.) — „ზვეზდა"
„ხაზარი" (ს.) — „დინამო" (მ.)
„ხაზარი" (ლ.) — „ბაკინეცი"
„დინამო" (ს.) — „შევარდენი"-სპი
„კოლხეთი" (ხ.) „გოიაზანი"
„კოლხეთი" (ფ.) — „ტორპედო"
„მერცხალი" — „ატომმაში"
„მეტალურგი" — „ქიაფაზი"
„ლოკ."ომც — „ყარაბახი"

XVI ტური

17 ივნისი, შაბათი

„ნარტი" — „ზვეზდა"
„ლოკომ." (მ.) —„ტექსტილშჩიკი"
„ხაზარი" (ს.) — „ბაკინეცი"
„ხაზარი" (ლ.) — „დინამო" (მ.)
„დინამო" (ს.) — „გოიაზანი"
„კოლხეთი" (ხ.) — „შევარდენი"-სპი
„კოლხეთი" (ფ.) —„ატომმაში"
„მერცხალი" — „ტორპედო"
„მეტალურგი" — „ყარაბახი"
„ლოკ."-ომც — „ქიაფაზი"

XVII ტური

23 ივნისი, პარასკევი

„შევარდენი"-სპი — „დილა"
„გოიაზანი" — „ლოკომოტივი" (ს.)
„დინამო" (მ.) — „დინამო" (ს.)
„ბაკინეცი" — „კოლხეთი" (ხ.)
„ტექსტილშჩიკი" — „ხაზარი" (ს).
„ზვეზდა" — „ხაზარი" (ლ).
„ქიაფაზი" — „ნარტი"
„ყარაბახი" — „ლოკომ". (მინ. წყ.)
„ტორპედო" — „მეტალურგი"
„ატომმაში" — „ლოკ."-ომც
„მერცხალი" — „კოლხეთი" (ფ.)

XVIII ტური

26 ივნისი, ორშაბათი

„შევარდენი"-სპი — „ლოკომოტივი" (ს.)
„გოიაზანი" — „დილა"
„დინამო" (მ.) — „კოლხეთი" (ხ.)
„ბაკინეცი" — „დინამო" (ს.)
„ტექსტილშჩიკი" —„ხაზარი" (ლ.)
„ზვეზდა" — „ხაზარი" (ს.)
„ქიაფაზი" — „ლოკომოტივი" (მინ. წყ.)
„ყარაბახი" — „ნარტი"
„ტორპედო" — „ლოკ."-ომც
„ატომმაში" — „მეტალურგი"

XIX ტური

2 ივლისი, კვირა

„ნარტი" — „ტორპედო"
„ლოკომ." (მინ. წყ.) — „ატომმაში"
„ხაზარი" (ს.) — „ქიაფაზი"
„ხაზარი" (ლ.) — „ყარაბახი"
„დინამო" (ს.) — „ტექსტილშჩიკი"
„კოლხეთი" (ხ.) — „ზვეზდა"
„დილა" — „დინამო" (მ.)
„ლოკომოტივი" (ს.) — „ბაკინეცი"
„მეტალურგი" — „კოლხეთი" (ფ.)
„ლოკ."-ომც — „მერცხალი"

XX ტური

5 ივლისი, ოთხშაბათი

„ნარტი" — „ატომმაში"
„ლოკომ." (მინ. წყ.) — „ტორპედო"
„ხაზარი" (ს.) — „ყარაბახი"
„ხაზარი" (ლ.) — „ქიაფაზი"
„დინამო" (ს.) — „ზვეზდა"
„კოლხეთი" (ხ.) — „ტექსტილშჩიკი"
„დილა" — „ბაკინეცი"
„ლოკომოტივი" (ს.) — „დინამო" (მ.)
„მეტალურგი" — „მერცხალი"
„ლოკ."-ომც — „კოლხეთი" (ფ.)
„გოიაზანი" — „შევარდენი"-სპი

XXI ტური

9 ივლისი, კვირა

„დინამო" (მ.) — „შევარდენი"-სპი
„ბაკინეცი" — „გოიაზანი"
„ტექსტილშჩიკი" — „დილა"
„ზვეზდა" — „ლოკომოტივი" (ს.)
„ქიაფაზი" — „დინამო" (ს.)
„ყარაბახი" — „კოლხეთი" (ხ.)
„ტორპედო" — „ხაზარი" (ს.)
„ატომმაში" — „ხაზარი" (ლ.)
„კოლხეთი" (ფ.) — „ნარტი"
„მერცხალი" — „ლოკომ." (მინ. წყ..)
„მეტალურგი" — „ლოკ."-ომც

XXII ტური

12 ივლისი, ოთხშაბათი

„დინამო" (მ.) — „გოიაზანი"
„ბაკინეცი" — „შევარდენი"-სპი
„ტექსტილშჩიკი" — „ლოკომოტივი" (ს.)
„ზვეზდა" — „დილა"
„ქიაფაზი" — „კოლხეთი" (ხ.)
„ყარაბახი" — „დინამო" (ს.)
„ტორპედო" — „ხაზარი" (ლ.)
„ატომმაში" — „ხაზარი" (ს.)
„კოლხეთი" (ფ.) — „ლოკომ." (მინ. წყ.)
„მერცხალი" — „ნარტი".



იტალია-90

## შესარჩევი მატჩები

ოკეანიის ქვეყნების ზონაში მიმდინარეობს მსოფლიოს 1990 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის მეორე ეტაპის შესარჩევი მატჩები. ზონაში ამ ეტაპს შემორჩნენ ავსტრალიის, ახალი ზელანდიისა და ისრაელის გუნდები.

ისრაელის ფეხბურთელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს ახალი ზელანდიის გუნდი და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0. ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის გუნდების შეხვედრა მოიგეს ავსტრალიელებმა— 4:1.

# ბულგარელი ფეხბურთელი საფრანგეთში

**სოფიის** „სრედეცის" ყოფილი კაპიტანი გეორგი დიმიტროვი ამჟამად საფრანგეთის ცნობილი გუნდის „სენტ-ეტიენის" ღირსებას იცავს. ამას წინათ მან ითამაშა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში, სადაც ბულგარეთის ნაკრების მეტოქე ირლანდიის გუნდი იყო. კორესპონდენტებმა ბულგარეთის ნაკრების კაპიტანს რამდენიმე შეკითხვით მიმართეს.

● **ბულგარეთის ნაკრებში თქვენ „უცხოელს" გეძახიან... ოდნავ მაინც თუ გრძნობთ ამას?**

— მკვეთრად არა, მაგრამ რაღაც ამდაგვარი არის...

● **საფრანგეთში?**

— ჩინებულად მიმიღეს. ენობრივი ბარიერიც თანდათან გადაილახება, ახალი მეგობრებიც შევიძინე.

● **თუ გაქვთ რაიმე ისეთი პრობლემა „სენტ-ეტიენში", რომელიც ფეხბურთთან არაა დაკავშირებული?**

— საცხოვრებელი პირობების პრობლემა მოხსნილია. კლუბის ხელმძღვანელობამ შვიდოთახიანი ბინა და ავტომანქანა გამომიყო, საკმარისია რაიმე საკითხი დავაყენო და იგი სასწრაფოდ მოგვარებულია. თუმცა, უნდა ვთქვა, რომ ახლანდელი „სენტ-ეტიენი" ადრინდელ მრისხანე ძალას არ წარმოადგენს. შემადგენლობა ახალგაზრდა მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული.

● **რითი განსხვავდება საფრანგეთის პირველობა, ვთქვათ, ბულგარეთის ჩემპიონატისგან?**

— უპირველესად იმით, რომ საფრანგეთის არც ერთი გუნდი არ იბრძვის აუცილებლად ჩემპიონობის, ე. ი. პირველი ადგილისთვის. გულშემატკივრები სტადიონზე იმ იმედით მიდიან, რომ კარგი თამაში იხილონ. მეორეა მომზადების თავისებურება. აქ ჩვენ კონტროლს არავინ გვიწევს, მატჩის მერეც კი. ყველამ თვითონ უნდა იზრუნოს თავის სპორტულ ფორმაზე. რეჟიმიდან უმნიშვნელო გადახვევაც კი საოცრად ნათლად გამოიკვეთება ხოლმე მინდორზე და ამ შემთხვევაში მოთამაშე სათადარიგო სკამზე ინაცვლებს. კონტრაქტის შეწყვეტის შიში იძულებულს გხდის საკუთარ თავს კონტროლი შენვე გაუწიო.

● **ამბობენ, რომ საფრანგეთის ჩემპიონატი ერთ-ერთი საინტერესოა ევროპაში და ეს ძირითადად იქაურ კლუბებში უცხოელი ფეხბურთელების თამაშით განისაზღვრება.**

— საფრანგეთის ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს ბევრი „ვარსკვლავი" ამშვენებს, კლუბების შემოსავალიც საკმაოდ იზრდება. მაგრამ ფრანგებს იმის საშუალება არ გააჩნიათ, რომ „სუპერვარსკვლავები" შეისყიდონ და ამიტომაცაა, რომ მე და ჩემი თანაგუნდელი გეორგი სლავკოვი „სენტ-ეტიენში" აღმოვჩნდით.

● **ხელშეკრულების ვადის დამთავრების შემდეგ საფრანგეთში გააგრძელებთ თამაშს თუ შინ დაბრუნდებით?**

— ორწელიწად-ნახევარში ხელშეკრულების ვადა თავდება, ვეცდები იმ დროისთვის მწვრთნელთა სკოლაც დავამთავრო. მაშინ 32 წლისა ვიქნები. თუ თამაში შევძელი, დავრჩები საფრანგეთში, თუ არა და ბულგარეთში ჩამოვალ მწვრთნელად.

მასალა მოამზადა
**ალეკო კაკულიამ.**

**სპორტული გაზეთი „ჩესკოსლოვენსკი სპორტი".**

## ცოტაც არასპორტულ თემაზე

**შეიქმნა** ახალი პრეპარატი მებიკარი, რომელიც გამოიყენება ნევროზების და ნევროზის მაგვარი მდგომარეობის (რაც მიმდინარეობს გაღიზიანებების, ემოციური არამდგრადობის, აღგზნებულობის, შიშისა და განგაშის მოვლენებით) დროს და აგრეთვე თამბაქოს წევის წინააღმდეგ კომპლექსურ თერაპიაში. იგი ხსნის შინაგან დაძაბულობას ნევროზების დროს, არეგულირებს ღამის დარღვეულ ძილს.

პრეპარატი არ იწვევს მოთენთილობას, ძილს, მოქმედების მოდუნებასა და მოძრაობის კოორდინაციის დარღვევას.

ნევროზებისა და ნევროზის მაგვარი მდგომარეობების მკურნალობის კურსი 2 კვირიდან 2 თვემდე გრძელდება, ფსიქიკური დაავადებების დროს კი 6 თვე.

მებიკარი მთლიანად გამოდის ორგანიზმიდან დღე-ღამის განმავლობაში.

პრეპარატის შენახვის ვადაა 3 წელი. ინახება მშრალ, სინათლისგან დაცულ ადგილზე.

გაიცემა მხოლოდ ექიმების რეცეპტით.

• • •

**პირველად** ტანკი გამოჩნდა 1914-1918 წლების მსოფლიო ომში, მაგრამ როგორც იტალიელი ისტორიკოსები ამტკიცებენ, თანამედროვე ტანკების წინამორბედს თურმე იყენებდნენ ჯერ კიდევ შორეულ წარსულში. ძველ გერმანელებს ტანკის მაგვარი ლითონის „ყუთი", რომელსაც ჰქონდა სათვალთვალო ნახვრეტები, გამოუყენებიათ რომაელების ლეგიონების წინააღმდეგ. ეფექტი თავზარდამცემი გამოდგა. „ტანკის" ეკიპაჟი 6-8 კაცისგან შედგებოდა, „ტანკებს" შორის კი მოისრეები მიაბიჯებდნენ.

• • •

**სიცილი** სიჯანსაღეაო, ნათქვამია, მაგრამ ზოგჯერ იგი თურმე საზიანოც არის ტექნიკური პროგრესის პირობებში. როგორ? ტაივანის ერთ-ერთ ფირმაში, რომელიც კომპიუტერებს უშვებს, მუშებს კატეგორიულად ეკრძალებათ სიცილი. სამუშაო საათებში სიცილი თურმე უარყოფითად მოქმედებს პროდუქციის ხარისხზე. სიცილის აკრძალვის წესის დაცვას კონტროლს საგანგებო ხელსაწყოებით უწევენ.

• • •

**გავეცანით** „ლელოს" 15 მარტის ნომერში ახალი რუბრიკით „ცოტაც არასპორტულ თემაზე" გამოქვეყნებულ მასალებს, რამაც ჩვენი დიდი მოწონება დაიმსახურა. გიგზავნით ერთ საინტერესო ცნობას.

365 დღიანი მონაწველის მსოფლიო რეკორდი ეკუთვნის კუბის ფურს უბრე ბლანკას („თეთრი ცური") და შეადგენს 27674 კგ რძეს. მასვე ეკუთვნის უმაღლესი დღეღამური — 110,9 კგ და წლის მანძილზე მიღებული რძის ცხიმის რაოდენობის — 1051 კგ რეკორდები. ამ ფურის სანახავად ფერმაში ხშირად დადიოდა ფიდელ კასტრო.

საქართველოში კავკასიური წაბლა ჯიშის ფურ „კრიალიასგან" 300 დღეში მიღებულია 8790 კგ რძე. ჩვენი აბორიგენული ჯიშების ხევსურული და წითელი მეგრული საქონლის რეკორდული მონაწველია შესაბამისად 4111 და 4300 კგ.

**ზურაბ შერმაზანაშვილი,**
**კორნელი თუთბერიძე.**
**ზოოვეტინსტიტუტის თანამშრომლები.**

---

საქართველოს ჩემპიონატი კალათბურთში

# პირველი მატჩები, პირველი შედეგები

(დასასრული)

**პოლიტექნიკური ინსტიტუტი:** გიორგობიანი (25), გეგეშიძე (24), ცაგარეიშვილი (21), კვეზერელი (15), გოგელია (13), ხუჭუა (11), კოტრიკაძე (7), გაბრიჩიძე (6), პოლქვაძე (2).

**ჭიათურა:** ბოხოველი (27), ყასჩაველი (25), ნადირაძე (17), ბარათაშვილი (10), დეკანოიძე (6), გურული (5), მერმანიშვილი (4), კაპანაძე (2).

**18 მარტი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სინათლე" (თბილისი) 98:87 (56:42). მსაჯები— დ. სადგობელაშვილი (რესპუბლიკური კატეგორია), ე. არუთინიანი (საკავშირო კატეგორია).**

**ფიზკულტურის ინსტიტუტი:** ლიპარტელიანი (28), უძილაური (26), ჩერქეზიშვილი (20), კობეშავიძე (16), მაისურაძე (4), ინაური (4),

**„სინათლე":** ქორქია (33), ღონღაძე (22), პ. ჩახხიანი (10), ძიძიგური (9), გოგიბედაშვილი (7), ტომარაძე (4), რ. ჩახხიანი (2).

**19 მარტი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სინათლე" (თბილისი). 90:91 (48:46). მსაჯები — მ. ქურიძე (საერთაშორისო კატეგორია), ზ. ზამთარაძე.**

**ფიზკულტურის ინსტიტუტი:** ლიპარტელიანი (28), კობეშავიძე (22), ჩერქეზიშვილი (15), უძილაური (13), მაისურაძე (8), ინაური (4).

**„სინათლე":** ღონღაძე (31), ძიძიგური (23), ქორქია (13), სინჯარაძე (9), პ. ჩახხიანი (5), ტომარაძე (5), ფუხაშვილი (5).

**18 მარტი. ქუთაისი — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) 82:71 (51:34). მსაჯები — რ. გოგელია (საკავშირო კატეგორია), ი. მელაძე (რესპუბლიკური კატეგორია).**

**ქუთაისი:** გოგსაძე (18), ბაკურია (18), აფრიდონიძე (17), გუბელაძე (17), ხაბულიანი (12).

**სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი:** სამხარაძე (22), აბზიანიძე (17), კუტიბაშვილი (10), ჭეიშვილი (10), მიქიაშვილი (6), ბარამიძე (4), ცისკარიშვილი (2).

**19 მარტი. ქუთაისი — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) 63:60 (55:55, 24:26). მსაჯები — რ. გოგელია (საკავშირო კატეგორია) და ი. მელაძე (რესპუბლიკური კატეგორია).**

**ქუთაისი:** გოგსაძე (24), გუბელაძე (12), ბაკურია (12), აფრიდონიძე (8), ხაბულიანი (7).

**სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი:** მიქიაშვილი (17), სამხარაძე (10), აბზიანიძე (9), კუტიბაშვილი (6), ბარამიძე (6), ხალაური (6), ჭეიშვილი (6).

**18 მარტი. ბათუმი — „მართვე" (თბილისი) 64:51 (44:30). მსაჯები — ა. ლომიძე და ს. ლამბრიანიდი (რესპუბლიკური კატეგორია).**

**ბათუმი:** მ. ემირიძე (27), შერვაშიძე (16), ზოიძე (8), მაისურაძე (5), ბარამიძე (4), ქლენტი (2), გ. ემირიძე (2), კოლცოვი (2).

**„მართვე":** გაბისონია (19), ჩხეიძე (8), ჯორბენაძე (6), ქორქია (6), ჯაფარიძე (4), ბაქრაძე (4), დავითაია (3), ნიკურაძე (1).

**19 მარტი. ბათუმი — „მართვე" (თბილისი) 74:56 (39:33). მსაჯები — ა. ლომიძე და ს. ლამბრიანიდი (რესპუბლიკური კატეგორია).**

**ბათუმი:** მ. ემირიძე (25), შერვაშიძე (15), დიხამიძე (10), მაისურაძე (8), მეტრეველი (5), ზარამიძე (4), ზოიძე (3), გ. ემირიძე (2), კოლცოვი (2).

**„მართვე":** დავითაია (9), ქორქია (8), ბაქრაძე (8), ჩხეიძე (8), გაბისონია (7), ჯორბენაძე (5), ჯაფარიძე (4), ჩუბინიძე (3), კოპალეიშვილი (2), ბაკურაძე (2).

### მორიგი მატჩები

**23 და 24 მარტს** თბილისში კიროვის სახელობის პარკის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში ჩატარდება რესპუბლიკური ჩემპიონატის მორიგი მატჩები: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „ბათუმი", დასაწყისი — 16.00 ს.; „სინათლე" (თბილისი) — „დინამო" (თბილისი) — 17.30; „უნივერსიტეტი" (თბილისი) — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) — 19.00.

**25-26 მარტს** თბილისშივე ითამაშებენ ადგილობრივი „შევარდენი" და რუსთავი. დასაწყისი — 12.00 ს.

ქუთაისის გუნდი კი იმავე დღეებში შინ სოხუმის კალათბურთელებს უმასპინძლებს.

---

**სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში**

გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

**დონეცკი.** ადგილობრივმა „შახტიორმა" განმეორებითი შეხვედრა მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის კალათბურთელებთან წააგო — 91:107 (55:62).

**კაუნასი.** „ჟალგირისისა" და ლენინგრადის „სპარტაკის" პირველ მატჩში გამარჯვება, როგორც მოსალოდნელი იყო, კაუნასელებს ხვდათ — 106:95 (41:52).

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 22 მარტისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „დინამო" (მ.) | 38 | 21 | 17 | 59 |
| „სტროიტ." (კ.) | 32 | 26 | 6 | 58 |
| ასკ (ალმა-ათა) | 34 | 23 | 11 | 57 |
| „ჟალგ." (კაუნ.) | 29 | 27 | 2 | 56 |
| „სტატ." (ვილნ.) | 36 | 17 | 19 | 53 |
| ცსკა | 31 | 20 | 11 | 51 |
| „დინამო" (თბ.) | 36 | 15 | 21 | 51 |
| რტი (მინსკი) | 32 | 14 | 18 | 46 |
| „კალევი" (ტალ.) | 30 | 15 | 15 | 45 |
| ვეფ (რიგა) | 37 | 8 | 29 | 45 |
| „შახტ." (დონ.) | 34 | 9 | 25 | 43 |
| „სპარ." (ლენ.) | 35 | 7 | 28 | 42 |



# ორმა ქულამ გადაწყვიტა

**როგორც** გულშემატკივრებმა იციან, აბოვიანის „ადისის" სპორტსმენები უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის შინ ჩასატარებელ კალენდარულ მატჩებს თბილისში მართავენ. 21-22 მარტს ბავშვთა კალათბურთის სასახლეში (კიროვის პარკი) მათ მოსკოვის ოლქის „სპარტაკს" უმასპინძლეს. ორთაბრძოლები მეტად დაძაბული იყო, განსაკუთრებით პირველ პაექრობაში. შეხვედრის მე-12 წუთისთვის „ადისი" მატჩს 11 ქულით იგებდა, მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა წუთიერი მოდუნება, რითაც მეტოქეს ხელფეხი გაეხსნა. სპარტაკელებმა პირველი ნახევრის მიწურულს ანგარიში გაათანაბრეს — 52:52. შესვენების შემდეგ სურათი შეიცვალა. მე-5 წუთისთვის „სპარტაკი" დაწინაურდა 9 ქულით, თუმცა მეტის გაკეთება ვერ შეძლო. აბოვიანელი კალათბურთელები გააქტიურდნენ, მათი სროლებიც უფრო ზუსტი იყო, მთელი ძალით ათამაშდა გუნდის ლიდერი ლ. ალექსანდროვა, რომელიც პირველ ტაიმში უფერულად გამოიყურებოდა. საბოლოოდ ადისელებმა ეს მეტად დაძაბული მატჩი 2 ქულის სხვაობით მოიგეს — 102:100. აბოვიანელთაგან საუკეთესო იყო გუნდის კაპიტანი ლ. ვორონენკო — 29 ქულა, სპარტაკელმა ო. გარანინამ 23 ქულა შესძინა გუნდს.

განმეორებითი შეხვედრაც „ადისმა" მოიგო 90:78 (53:49). გამარჯვებულთაგან თავი გამოიჩინა ლ. ვორონენკომ — 21 ქულა. სპარტაკელთაგან — ლ. კაზარინოვამ (33 ქულა).

მომდევნო მატჩებს აბოვიანელი კალათბურთელები ისევ თბილისში გამართავენ 27-28 მარტს. ამჯერად მათი მეტოქე იქნება ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელი ვოლგოგრადის „დინამო".

# გამოცდილებამ თავისი გაიტანა

**გუშინწინ** თბილისში დაიწყო რეგბისტთა საკავშირო თასის XV გათამაშების ჯგუფური ტურნირი. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონზე პირველ ლიგაში მოასპარეზე ტაგანროგის „რადუგამ" ღირსეული წინააღმდეგობა ვერ გაუწია შარშანდელ საკავშირო პირველობაში XI ადგილზე გასულ მოსკოვის „ფილის" და დიდი ანგარიშით დამარცხდა — 12:47. უფრო შთამბეჭდავი შედეგით — 66:11 (34:7) დამთავრდა თბილისის გუნდების — „ელმავლისა" და „შევარდენის" მატჩი. ამ შეხვედრაში, რომელიც „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა, „შევარდენის" ნორჩმა რეგბისტებმა თავდაუზოგავად იბრძოლეს, შეძლებისდაგვარად გაუძალიანდნენ მრისხანე მეტოქეს, მაგრამ რკინიგზელთა ოსტატობამ და გამოცდილებამ მაინც თავისი გაიტანა. გამარჯვებულებმა ამ დღეს ლელოთა სარეკორდო რაოდენობა — 13 გაიტანეს.

დღეს, მეორე ტურში, „შევარდენი" შეხვდება მონინოს სსა-ს, 17 საათზე კი „ლოკომოტივის" სტადიონზე ერთმანეთს ეთამაშებიან ძველი მეტოქეები — თბილისელი რკინიგზელები და მოსკოვის „ფილი".

---

**„სპორტპროგნოზი", მე-14 ტირაჟის პროგრამა (1-2 აპრილი)**

| სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა) | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|
| 1. „ზენიტი" (ლენინგრადი) — „არარატი" (ერევანი) | 1.IV | 20 | 70 | 10 |
| **გადასახვლელი ტურნირი შაიბიან ჰოკეიში (პირველი თამაშები)** | | | | |
| 2. „ტორპედო" (გორკი) — „სიბირი" (ნოვოსიბირსკი) | 1.IV | 60 | 20 | 20 |
| 3. ურიცკის სახ. სკ (ყაზანი) — „ტორპედო" (უსტ-კამენოგორსკი) | 1.IV | 40 | 40 | 20 |
| 4. „დინამო" (მინსკი) — „სალავათ იულაევი" (უფა) | 1.IV | 20 | 40 | 40 |
| 5. „კრისტალი" (ელექტროსტალი) — „ლადა" (ტოლიატი) | 1.IV | 70 | 20 | 10 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში (ვაჟები, უმაღლესი ლიგა)** | | | | |
| 6. ზიი (ზაპოროჟიე) — ასკ (მინსკი) ქ. მოსკოვი | 1.IV | 40 | 20 | 40 |
| 7. მაი (მოსკოვი) — ცსკა ქ. მოსკოვი | 1.IV | 20 | 20 | 60 |
| **საფრანგეთის ჩემპიონატი ფეხბურთში** | | | | |
| 8. „ლილი" (ლილი) — „ტულუზა" (ტულუზა) | 1.IV | 20 | 40 | 40 |
| 9. „ბორდო" (ბორდო) — „მატრა რესინგი" (პარიზი) | 1.IV | 50 | 40 | 10 |
| **იტალიის ჩემპიონატი ფეხბურთში** | | | | |
| 10. „ნაპოლი" (ნეაპოლი) — „იუვენტუსი" (ტურინი) | 2.IV | 20 | 70 | 10 |
| 11. „ატალანტა" (ბერგამო) — „მილანი" (მილანი) | 2.IV | 10 | 40 | 50 |
| **ესპანეთის ჩემპიონატი ფეხბურთში** | | | | |
| 12. „სევილია" (სევილია) — „ვალენსია" (ვალენსია) | 2.IV | 20 | 70 | 10 |
| 13. „ბარსელონა" (ბარსელონა) — „რეალი" (მადრიდი) | 2.IV | 10 | 60 | 30 |

**შენიშვნა:** ხელბურთში მხედველობაში მიიღება ძირითადი დროის შედეგი.

# ოლიმპიადა: შორს თამბაქოს!

**1992 წლის** ზაფხულის ოლიმპიური თამაშები, როგორც ცნობილია, გაიმართება ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში. ოლიმპიადის ორგანიზატორები მომავალი ასპარეზობისთვის გაცხარებულ მზადებაში არიან, მათ სურთ ეს თამაშები საუკეთესოდ ჩაატარონ, საამისოდ მასპინძლებმა ისიც გადაწყვიტეს, რომ ბარსელონის ოლიმპიადაზე სიგარეტი არ უნდა მოწიოს არავინ.

ამ გადაწყვეტილების ყველაზე მთავარი ასპექტი ისაა, რომ თამბაქოს კომპანიები თავიანთი რეკლამისთვის დიდძალ თანხას იხდიან, მაგრამ ბარსელონელებმა დაადგინეს — არ გვინდა არც რეკლამა, არც მისი შემოსავალი, სამაგიეროდ ოლიმპიადის დღეებში სიგარეტის კვამლი უნდა გაქრეს ყველა სტადიონიდან და სპორტული ბაზიდან, აგრეთვე, რესტორნებიდან და ბარებიდან.

---

# კანდიდატთა რიცხვი შემცირდა

**„ლელოს"** გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ მოჭადრაკე ქალთა 45-ე რესპუბლიკური ჩემპიონატის ფინიშზე პირველ ოთხეულში გასვლაზე ცხრა მოჭადრაკე აცხადებდა პრეტენზიას. შეჯიბრების დამთავრებამდე ორი ტურით ადრე კი კანდიდატთა რიცხვი შემცირდა. ლაგვილავამ დაკარგა საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირის საგზურის მოპოვების შანსი. ამის მხოლოდ თეორიული შესაძლებლობა დარჩათ მელაშვილს, სადუნიშვილსა და მესხს.

სამაგიეროდ, ლიდერებმა განიმტკიცეს პოზიციები. ნათია ჯანჯღავა შავი ფიგურებით ეთამაშებოდა თამილა მესხს. შეხვედრა დაძაბული გამოდგა. როცა დაფაზე თითო ფიგურა დარჩა, ჯანჯღავამ მეტოქის ფრთაზე აამოძრავა გამსვლელი პაიკი და მესხი იძულებული გახდა ფიგურა დაეთმო. მცირე ტექნიკური სირთულეების დაძლევის შემდეგ ჯანჯღავამ გამარჯვებამდე მიიყვანა პარტია და მეტად საჭირო ქულა ჩაიწერა გათამაშების ცხრილში.

იამზე თვაურისა და ეკატერინა ფახიროვას შეხვედრის დებიუტში სტრატეგიულად უკეთესი პოზიცია თვაურს ჰქონდა, მაგრამ იგი დიდ დროს ანდომებდა თითოეული სვლის მოფიქრებას და ცაიტნოტში ალაში ჩამოუვარდა.

ნინო ხურციძემ მონდომებით ჩაატარა შეხვედრა საქართველოს ექსჩემპიონ ჰენრიეტა ლაგვილავას წინააღმდეგ და დაამარცხა მეტოქე.

მართალია, ციალა ქასოშვილს, რომელიც შავებით თამაშობდა, ზედმეტი პაიკი ჰყავდა ივეტა კურცხალიასთან ორთაბრძოლაში, მაგრამ სამაგიეროდ კურცხალიას უფრო აქტიური პოზიცია ჰქონდა. მეტოქეებმა აღარ გაამწვავეს ბრძოლა და დაზავდნენ.

გაგაცნობთ XV ტურის სხვა შეხვედრათა ტექნიკურ შედეგებს: სადუნიშვილი — კობაიძე 0:1, თანდაშვილი — ჩაიკოვსკაია 0:1, მელაშვილი — ხუგაშვილი 0,5:0,5, მერეკლიშვილი — ტერელაძე 0,5:0,5, ალიხანაშვილი — ეძგვერაძე 1:0.

ამრიგად, 15 ტურის შემდეგ 11-11 ქულით ჩემპიონატს ლიდერობენ ნათია ჯანჯღავა და ეკატერინა ფახიროვა. 10,5 ქულა აქვს ნინო ხურციძეს, 10 — ციალა ქასოშვილს, 9 — ივეტა კურცხალიას, 8,5-8,5 — ლია სადუნიშვილსა და თამილა მესხს.

**თამარ ხმიადაშვილი.**

---

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე**

ინდექსი 66665. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. [illegible] კომბინატი, [illegible] ქ. 29. უე 07151

ეროვნული ბიბლიოთეკა